

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი



ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტი

უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის

საგანმანათლებლო პროგრამა

ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

სწავლების ენა – ქართული

აკრედიტაციის თარიღი - 28/11/2019

პროგრამის ხელმძღვანელი - მარინე მათიაშვილი,

ასოცირებული პროფესორი

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების პირველი საფეხური
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი
პროგრამის მოცულობა/კრედიტები	240 ECTS კრედიტი (1 ECTS კრედიტი – 30 საათი)
პროგრამის ხანგრძლივობა	4 აკადემიური წელი (8 სემესტრი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი (მოკლე აღწერა)	<p>პროგრამა შემუშავებულია თსუ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი სრულად მოიცავს დაშვების მოთხოვნებს და სწავლის შედეგებს.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა შეიცავს სწავლების გეგმას და შესაბამის სილაბუსებს. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს. პროგრამა ადგენს სასწავლო მიზნებს, სწავლის შედეგებს და კვალიფიკაციას. პროგრამა შემუშავებულია ევროპული კრედიტ-სატრანსფერო სისტემის (ECTS) შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამა ორიენტირებულია სტუდენტსა და სწავლის შედეგებზე.</p> <p>სასწავლო გეგმის თითოეული კურსი შეესაბამება სწავლის სათანადო საფეხურს და ეფუძნება სტუდენტის მიერ შეძენილ ცოდნას და უნარებს, და ამავდროულად, თავად არის მემკვიდრეობითი კომპონენტის დაუფლების წინაპირობა. პროგრამა მრავალკომპონენტია და სტრუქტურირებულია თანმიმდევრული ბლოკების სახით კურიკულუმის პრეკლინიკური, კლინიკური და კონსოლიდაციის ეტაპებზე.</p> <p>საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს:</p>

	<ul style="list-style-type: none"> • პრეკლინიკური ეტაპი - ბიოსამედიცინო მეცნიერებები; ქცევითი, სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერებები; დაავადების ბიოლოგიური საფუძვლები; ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საფუძვლები; დიაგნოსტიკის საფუძვლები. • კლინიკური ეტაპი - კლინიკური სასწავლო კურსები; ფუნქციური დიაგნოზი ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში; თერაპიული საშუალებები ფიზიკურ მედიცინასა და რეაბილიტაციაში. • კონსოლიდაციური ეტაპი: ფიზიკური რეაბილიტაცია პულმონოლოგიაში; ფიზიკური რეაბილიტაცია კარდიოლოგიაში; ფიზიკური რეაბილიტაცია ნევროლოგიაში; ფიზიკური რეაბილიტაცია ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში; ფიზიკური რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდთა ასაკში; ფიზიკური რეაბილიტაცია გერიატრიაში.
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის მიზანია სწავლის შედეგებზე ფოკუსირებული და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე ორიენტირებული მიდგომით მოამზადოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალი, რომელიც:</p> <ul style="list-style-type: none"> • ბაზისური ბიოსამედიცინო კვლევის მეთოდების და მტკიცებულებებზე დამყარებული პრაქტიკის გაცნობიერებით და გამოყენებით, ბიოფსიქოსოციალურ მოდელზე დაყრდნობით უზრუნველყოფს ნებისმიერ ასაკში ფუნქციის და მოძრაობის შეზღუდვით მიმდინარე სხვადასხვა ტიპის პათოლოგიური მდგომარეობის პრევენციას, სარეაბილიტაციო შეფასებას, ინტერვენციას და მართვას, ცხოვრების ხარისხისა და ფუნქციური მოძრაობის პოტენციალის გაუმჯობესებისათვის; • სათანადო ინტერპერსონალური ურთიერთობის უნარების გამოყენებით, შეძლებს მუშაობას მულტი- და/ან ინტერდისციპლინურ გუნდში, სტაციონარულ თუ ამბულატორიულ პირობებში; • ახორციელებს საკუთარ პრაქტიკას პროფესიულ და ეთიკურ ღირებულებებზე დაყრდნობით, საზოგადოებრივი საქმიანობების გათვალისწინებით; • დიპლომის შემდგომი და უწყვეტი პროფესიული

	<p>განათლების ყველა შესაძლო ფორმით აღწევს თავისი პრაქტიკის სრულყოფას და პროფესიულ წინსვლას.</p>
<p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>	<p>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სრული ზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების მქონე, შესაბამისი საბუთის მქონე პირი, რომელმაც ჩააბარა ერთიანი ეროვნული გამოცდები და ფლობს შესაბამის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ასევე, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტების, მათი შესაბამისი კოეფიციენტების და მინიმალური კომპეტენციის ზღვარის გათვალისწინებით.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე პროგრამაზე სწავლის უფლება განისაზღვრება „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით (52-ე მუხლი). ამ შემთხვევაში განმცხადებელი შეიძლება იყოს:</p> <ul style="list-style-type: none"> • უცხო ქვეყნის მოქალაქეობისა და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება; • საქართველოს მოქალაქეები, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს სრული ზოგადი განათლება ან მისი ეკვივალენტური განათლება და რომლებიც სრული ზოგადი განათლების ბოლო 2 წელს სწავლობდნენ უცხო ქვეყანაში; • განმცხადებლები, რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. <p>საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა დასაშვებია სწავლის ერთი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ. მობილობა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დადგენილ ვადაში.</p>
<p>სწავლის შედეგები (სშ)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება: სშ-1. აქვს ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ფართო ცოდნა, შეუძლია დარგის თეორიებისა და პრინციპების</p>

	<p>კრიტიკული გააზრება.</p> <p>უნარი:</p> <p>სშ-2. შეუძლია პაციენტის გამოკვლევა, მიღებული ინფორმაციის შეფასება და კრიტიკული ინტერპრეტაცია, დაგეგმილი ინტერვენციის განხორციელება;</p> <p>სშ-3. შეუძლია მართვის უნარების პრაქტიკაში გამოყენება;</p> <p>სშ-4. შეუძლია მონაცემების ინტეგრაცია და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება;</p> <p>სშ-5. შეუძლია ვერბალური, არავერბალური და წერილობითი კომუნიკაცია;</p> <p>სშ-6. შეუძლია თანამშრომლობა მულტი- და ინტერდისციპლინურ გარემოში.</p> <p>პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:</p> <p>სშ-7. ჩართულია სწავლაში და ცოდნის მუდმივი განახლების აქტივობებში;</p> <p>სშ-8. შეუძლია პროფესიული პასუხისმგებლობით, ეთიკური და სამართლებრივი ნორმების დაცვით მოქმედება.</p>
<p>დასაქმების სფეროები</p>	<p>პროგრამის ათვისების შემდგომ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი შეიძლება დასაქმდეს მრავალპროფილური და სპეციალიზებული კლინიკის რეაბილიტაციის განყოფილებაში, მრავალპროფილურ და სპეციალიზებულ რეაბილიტაციის კლინიკაში/ცენტრში, პირველადი ჯანდაცვის დაწესებულებებში, ამბულატორიებში, საკურორტო და ველნეს ცენტრებში, სპორტული და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სტრუქტურების სამედიცინო სარეაბილიტაციო სამსახურში, სხვადასხვა დონის საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე, შეუძლიათ ჩაერთონ თემზე დაფუძნებულ სარეაბილიტაციო პროგრამებში.</p>
<p>დიპლომის შემდგომი განათლება</p>	<p>ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრს შეუძლია სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე - მაგისტრატურაში.</p>

სასწავლო გეგმა

№	სასწავლო კურსი	კრედიტი
პრეკლინიკური ეტაპი		
	I სემესტრი	30
1	შესავალი სპეციალობაში 1	2
2	სამედიცინო ფიზიკა და ბიოფიზიკა	4
3	სამედიცინო ქიმია	3
4	სამედიცინო ბიოლოგია გენეტიკით	3
5	ციტოლოგია, ზოგადი ჰისტოლოგია და ემბრიოლოგია	3
6	ანატომია 1	7
7	პროფესიული ლათინური ენა	2
8	აკადემიური წერა	2
9	საზოგადოებრივი ჯანდაცვა, სოციოლოგია	2
10	უცხოური ენა 1	2
	II სემესტრი	30
1	შესავალი სპეციალობაში 2	2
2	სამედიცინო ბიოქიმია	2
3	კერძო ჰისტოლოგია	3
4	ანატომია 2	5
5	ფიზიოლოგია 1	4
6	სამედიცინო პარაზიტოლოგია	2
7	საინფორმაციო ტექნოლოგიები	2
8	ფსიქოლოგიის საფუძვლები	2
9	ბიოეთიკა	2
10	სამეცნიერო კვლევის საფუძვლები	2
11	უცხოური ენა 2	2
12	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ ელექტრომაგნიტური გამოსხივების ბიოფიზიკა ○ ვალეოლოგია ○ ჯანდაცვის სერვისები, ჯანმრთელობის ინდიკატორები ○ გერმანული 1 	2
	III სემესტრი	30
1	პათოლოგიური ანატომია	3
2	პათოფიზიოლოგია	3
3	ფარმაკოლოგიის საფუძვლები	3

4	ბიომექანიკა, კინეზიოლოგია 1	5
5	დინამიკური ანატომია 1	4
7	ფიზიოლოგია 2	4
8	მიკრობიოლოგია	2
9	კომუნიკაციის უნარ-ჩვევები	2
10	უცხოური ენა 3	2
11	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ ჯანდაცვის მენეჯმენტის საფუძვლები და ლიდერობა ○ ნუტრიციოლოგიის სპეციალური კურსი ○ პედაგოგიკის საფუძვლები ○ გერმანული 2 	2
	IV სემესტრი	30
1	ბიომექანიკა, კინეზიოლოგია 2	3
2	დინამიკური ანატომია 2	3
3	ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია	2
4	დიაგნოსტიკის საფუძვლები	4
5	ლაბორატორიული საქმე	2
6	რადიოლოგიის საფუძვლები	2
7	მტკიცებითი მედიცინის საფუძვლები	2
8	ჰიგიენა	2
10	გადაუდებელი სამედიცინო დახმარება	2
11	მედიცინის ისტორია	2
12	ფიზიკური რეაბილიტაციის პოლიტიკა და სტრატეგიული მართვა	4
13	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ სპა-ს ბიომექანიკური საფუძვლები ○ ქიმიური, ბაქტერიოლოგიური, რადიოლოგიური და ბირთვული უსაფრთხოება 	2
ეტაპის გადალახვა		
კლინიკური ეტაპი		
	V სემესტრი	30
1	შინაგანი მედიცინა	5
2	ზოგადი ქირურგია	3
3	ნევროლოგია	5
4	ონკოლოგია	3
5	დერმატოლოგია	2
6	ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია 1	4

7	კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 1	4
8	მასაჟის ზოგადი საფუძვლები	2
9	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ ყელ-ყურ-ცხვირის დაავადებები ○ პროფესიული მედიცინა ○ ოფთალმოლოგია ○ მენოპა-გინეკოლოგია 	2
VI სემესტრი		30
1	პედიატრია	2
2	ბავშვთა ნევროლოგია	2
3	რევმატოლოგია	3
4	ტრავმატოლოგია, ორთოპედია	3
5	გერიატრია	2
6	მანუალური თერაპია	3
7	პროთეზირება და ორთეზირება რეაბილიტაციაში	3
8	ფიზიოთერაპია და კურორტოლოგია 2	3
9	კლინიკური და ფუნქციური შეფასება ფიზიკურ მედიცინაში 2	4
10	ლოგოპედია	3
11	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ სამკურნალო ტურიზმი ○ ბავშვთა ცერებრული დამბლის რეაბილიტაციის პრინციპები ○ ჯანდაცვის სამართლებრივი რეგულირება 	2
VII სემესტრი		30
1	ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის კლინიკური პრინციპები	10
2	სამკურნალო ვარჯიში	7
3	სპორტული მედიცინა	3
4	სამკურნალო მასაჟი	4
5	ადაპტიური ფიზიკური აღზრდა	3
6	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ ტრიგერული წერტილების დეაქტივაციის ტექნიკა ○ სპორტული მასაჟი ○ ტოლერანტობა და მრავალფეროვნება 	3
<i>ეტაპის გადალახვა</i>		
კონსოლიდაციური ეტაპი		
VIII სემესტრი		30
1	ფიზიკური რეაბილიტაცია პულმონოლოგიაში	4
2	ფიზიკური რეაბილიტაცია კარდიოლოგიაში	5

3	ფიზიკური რეაბილიტაცია ნევროლოგიაში	5
4	ფიზიკური რეაბილიტაცია ბავშვთა და მოზარდთა ასაკში	4
5	ფიზიკური რეაბილიტაცია გერიატრიაში	4
6	ფიზიკური რეაბილიტაცია ტრავმატოლოგიასა და ორთოპედიაში	5
7	არჩევითი საგანი: <ul style="list-style-type: none"> ○ კურორტების მენეჯმენტი ○ შესავალი კურსი ოკუპაციურ თერაპიაში ○ ლიმფის მანუალური დრენაჟი 	3